

# „მომვლელის ტვირთი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში“

ნანა მაისაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა - ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი - ნანა მაისაშვილი

თარიღი 25.01.2018

## აბსტრაქტი

მომვლელის ტვირთის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პოლიტიკაში.. მსგავსი კვლევები ჩვენ ქვეყანაში არ ჩატარებულა. მომვლელის ტვირთის სიმძიმის შესწავლითა და გაანალიზებით შესაძლებელი ხდება, მხარდაჭერის სტრატეგიების უკეთ დაგეგმვა.

კვლევის მიზანი: ფსიქიკური ან სომატური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტების არაფორმალურ მომვლელთა შერჩევაში: ა.შევაფასოთ მომვლელის ტვირთი ბ.გამოვიკვლიოთ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, სომატური დისტრესი, შფოთვისითი და დეპრესიული სიმპტომები, და დავადგინოთ ამ ცვლადების მიმართება მომვლელის ტვირთის სიმძიმესთან.

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია : ა. რაოდენობრივი კვლევა და ბ.

თვისებრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებია -1.მომვლელის ტვირთის 5 საკითხიანი კითხვარი. (CBI – Carers Burden Inventory), 2. პაციენტის ჯანმრთელობის 15 კითხვიანი კითხვარი. PHQ-15 – (Patient Health Questionnaire 15), 3.შფოთვის ხარისხის საზომი -GAD-7 (Generalized Anxiety Disorder -7) სკრინინგ კითხვარი, 4. დეპრესიის ხარისხის საზომი - PHQ-9 კითხვარი და 5. 21კითხვისაგან შემდგარი დახურული ტიპის კითხვარი- აღწერს მომვლელის პრობლემებს, მოვლის ხანგრძლივობას, აღქმულ მხარდაჭერას, მომვლელისათვის მის მნიშვნელობას, და ა.შ

კვლევის მონაცემების დამუშავების შედეგად მივიღეთ შემდეგი: მომვლელის ტვირთი (რომლის სიმწვავეც განისაზღვრებოდა CBIჯამური ქულით) დადებით კორელაციაშია სომატურ სიმპტომებთან ( $pr=.593^{**}$ ), დეპრესიულ სიმპტომებთან ( $pr=.485^{**}$ ) და გენერალიზირებულ შფოთვისით სიმპტომებთან ( $pr=.481^{**}$ )

ასევე ერთმანეთთან მაღალ კორელაციაშია დეპრესიული და სომატური სიმპტომები(  $pr=.659^{**}$ ), შფოთვისითი და დეპრესიული სიმპტომები ( $pr=.766^{**}$ ).

გამომდინარე შედეგებიდან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მომვლელის მძიმე ტვირთი რისკფაქტორია ისეთი ფსიქიკური პრობლემების განვითარებისა, როგორებიცაა დეპრესია, შფოთვისითი აშლილობა და ჯანმრთელობის სხვა პრობლემები (სომატური სიმპტომები).

თვისებრივი კვლევისათვის გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. ჩავუღრმავდით რაოდენობრივი კვლევის დროს გამოკვეთილ პრობლემებს. განსაკუთრებულად გამოიხატა 1. მაღალი ხარჯების პრობლემა აუტიზმის/აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მქონე პაციენტთა მომვლელებთან 2. სირცხვილისა და უსაფრთხოების განცდის ნაკლებობა ან არ არსებობა. მატერიალური სიდუხჭირე, დარდი პაციენტის მომავალზე მძიმე ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტთა მომვლელებთან.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები :** მომვლელის ტვირთი, არაფორმალური მომვლელის ტვირთი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ტვირთი, მომვლელი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, მძიმე ფსიქიკური აშლილობა, გამკლავება/ქოუფინგი, მხარდაჭერა, სოციალური შედეგი, ფსიქოლოგიური დისტრესი.

## Abstract

More and more countries show their interest in assessing the carers' burden. Unfortunately no significant research have been made about the subject in our country. Therefore, it is essential to understand the weight of carers' burden to develop appropriate supporting strategies.

The aim of the research was to a. assess caregivers burden and b. analyze its correlation to depression, anxiety disorder and somatoform disorder.

We used quantitative and qualitative research methodology.

The quantitative research methodology included several instruments: 1.CBI – Carers Burden Inventory, 2. PHQ-15 – Patient Health Questionnaire 15, 3. GAD-7 Generalized Anxiety Disorder -7 screening test, 4. PHQ-9 depression test and 5. a questionnaire developed after us which consisted of 21 questions, assesing – the problems caregivers are facing, the duration of caring, percieved support and its impact on the carer ,etc.

Results : carers' burden (severity was defined after CBI total point) positively correlated with somatic symptoms ( $r=.593^{**}$ ), depression ( $r=.485^{**}$ ) and generalized anxiety disorder ( $r=.481^{**}$ )

Also depression and somatic symptoms,(  $r=.659^{**}$ ), and anxiety and depression ( $r=.766^{**}$ ) were in high correlations.

We can suggest that great burden can be a risk-factor of developing depression, anxiety and other health-related problems (somatic symptoms) in carers.

For the qualitative research we used a depth interview method. It let us analyse problems perceived in quantitative research. Specifically, the problem of high expenses of the caretakers of patients with of autism / autistic spectrum diagnosis 2. Feeling of shame, lack of safety, financial hardship, worries about patient's future with the caregivers of patients with severe mental health problems.

**keywords** : carers burden, carers burden in mental health, carer, caregiver, mental health, coping, perceived support, social outcomes, mental disorders, psychological distress.

## მადლობა

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში გაწეული წვლილისათვის მადლობას ვუხდით პირველ რიგში ჩემს ხელმძღვანელს ნინო მახაშვილს, მისი მხრიდან გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისთვის, მეგობრებს, რომელთა დახმარებით მოხდა რესპოდენტთა გამოკითხვა, განსაკუთრებული მადლობა - რუსკა ზადრიაშვილს, მარიამ ლოღელიანს და ელენე ბერიკაშვილს გაწეული დახმარებისათვის. ასევე თითოეულ რესპოდენტს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა კვლევაში.

რაოდენობრივი ინფორმაციის სტატისტიკურად დამუშავების პროცესში გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებული მადლობა ნანა ვაშაკიძეს და გურამ ასათიანს.

თარიღი: 21.01.18